



სდასუ

## საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



### ინგლისური ფილოლოგია

მისანიჭებელი კ  
ვალიფიკაცია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი  
Bachelor of Arts in Humanities

პროგრამის  
მიზნები

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ორ ნაწილიანია: ინგლისური ენა და ინგლისური ლიტერატურა. პროგრამის მიზანია ინგლისური ფილოლოგიის სფეროს ფართო ცოდნის მიცემა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; პრაქტიკული და თეორიული ასპექტების საფუძვლიანი, სიღრმისეული შესწავლა, ენობრივი კომუნიკაციის ოთხი ფორმით: კითხვა, წერა, ზეპირმეტყველება და მოსმენა-აუდირება. ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი სპეციალობის დაუფლების მიზანია პრაქტიკული და თეორიული კვლევის კომპეტენციების შექმნა და მათი გამოყენების ნორმებისა და სტანდარტების ცოდნა, რაც სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას განაპირობებს; ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ამ ჩვევებს ის გამოიმუშავებს შესავალი კურსების თეორიული საგნებისა და პრაქტიკული ასპექტების ენის ვარიანტულობის გათვალისწინების შესწავლით და ა.შ.

სწავლის  
შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრს შეუძლია:

ინგლისური ფილოლოგიის სპეცილისტიკისათვის აუცილებელ პროფესიულ ჩვევებს; მხატვრული, სპეციალური და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობიერების უნარს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროს ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; ენას, როგორც მკაცრ სისტემურ მექანიზმს, სამეტყველო სტილის, გამოთქმის, წყობის, ლექსიკური და გრამატიკული კატეგორიების, სტილისტური ხერხების დაუფლებით კონტექსტში; მას შეუძლია ინგლისური ფილოლოგიისთვის დამახასიათებელი კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; ცოდნას ენის ინგლისური და ამერიკული ვარიანტების დიფერენციაციაზე, მის დიაქრონულ განვითარებაზე; საგაზეთო და ბიზნესის ენის თავისებურებებს.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

*ბაკალავრს შეუძლია:*

საუბრის, თხრობის ეფექტურად წარმართვა ინგლისურ ენაზე; ინტერპრეტაცია, თარგმნა, ტექსტის ანალიზის და რეპროდუქცია ინდივიდუალური კომენტარებით; ინგლისურ ენაზე წერილობითი ფორმით კორესპოდენციის, რეფერირების, თარგმნის (ქართულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით), ანოტაციის და სხვა წერილობითი Pფორმების წარმოება; ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად; სტატიების რეზიუმირება, რეფერირება, მთარგმნელობითი პროცესების წარმართვა, ტრანსფორმაციული უნარის გამოყენება ეფექტურად და სხვა. გააკეთოს შეპირისპირება და მოახდინოს მასალის ეპოქალური განხილვა; დაამუშაოს გამოჩენილ ავტორთა შემოქმედების ძირეული საკითხები; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

### **დასკვნის უნარი**

*ბაკალავრს შეუძლია:*

ანალიტიკური და აბსტრაქტული აზროვნების დემონსტრირება; წარმოდგენილი განსახილველი საკითხების სწრაფად გადაჭრის უნარი; ენათმეცნიერული და ლიტერატურული საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის უნარი; ინგლისური ფილოლოგიის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განარტება, განყენებული მონაცემების ანალიზი ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; რაც მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის უნარი და შემოქმედებითი მიდგომა; მწერლის ინდივიდუალური სტილის და მეთოდების განსაზღვრა; აზრის ლაკონურად და ლოგიკურად გადმოცემა;

### **კომუნიკაციის უნარი**

*ბაკალავრს შეუძლია:*

გამართულად გადმოსცეს აზრი წერილობით და ზეპირად; დაამყაროს ურთიერთობა უცხოურ ენებზე ჯგუფში გუნდური მუშაობისას; თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; საქმიანი დოკუმენტების შედგენისას, ანოტაციების რეფერირების და პრეზენტაციების მომზადებისას; შეასრულოს დასახული ამოცანა შემოქმედებითად, საკომუნიკაციო მიზანდასახულობით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან.

### **სწავლის უნარი**

*ბაკალავრს შეუძლია:*

ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატური შეფასება და ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების, დარგობრივი ლიტერატურის გამოყენება; მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების და ინოვაციების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივი შეფასება,

შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; დარგობრივი და ზოგადმეცნიერული ლიტერატურის დამუშავება და მისი გამოყენება;

### ღირებულებები

*ბაკალავრს აქვს:*

პროფესიული პასუხისმგებლობა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარი; პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირებაში მონაწილეობის სურვილი და დასაბუთებული მოტივაცია მის დასამკვიდრებლად.

ასათვისებელი  
კრედიტების  
რაოდენობა  
შეფასების წესები

240 ECTS კრედიტი

- უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;
- შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: A (91%-100%), B (81%-90%), C (71%-80%), D (61%-70%), E (51%-60%). მაქსიმალური დადებითი შეფასება - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;
- არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: FX (41-50%) და F (40% და ნაკლები). ნიშანი FX (ვერ ჩააბარა) ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს აქვს იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ ფინალურ (დასკვნით) და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს საბოლოო გამოცდას.

ქულა	შეფასება	
91%-100%	<b>A</b>	ფრიადი
81%-90%	<b>B</b>	ძალიან კარგი
71%-80%	<b>C</b>	კარგი
61%-70%	<b>D</b>	დამაკმაყოფილებელი
51%-60%	<b>E</b>	საკმარისი
41-50%	<b>Fx</b>	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40%	<b>F</b>	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

საკონტაქტო პირი

პროფ. რუსუდან კავთიაშვილი, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 595 477456, ელფოსტა: rkavtiashvili@sdsu.edu.ge, კონსულტაციის გაწევის დრო და ადგილი: 15:00 საათი, ხუთშაბათი, აუდიტორია N:404.